**თელავის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულო**

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**ქ. თელავი**

N 14 | 14-09-4-202003241917
24/03/2020

## თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების

## (გერბი და დროშა) დამტკიცების

## შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-8 მუხლის მე-პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** თელავის მუნიციპალიტეტის გერბი  და გერბის აღწერილობა დამტკიცდეს

დანართი №1-ის  შესაბამისად;

**მუხლი 2.** თელავის მუნიციპალიტეტის დროშა და დროშის აღწერილობა დამტკიცდეს

დანართი №2-ის შესაბამისად;

**მუხლი 3**.  დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დანართი N1




აღწერილობა

თელავის მუნიციპალიტეტის გერბი

თელავის მუნიციპალიტეტის გერბის ფარი გაყოფილია ოთხ ნაწილად.

I და IV ნაწილზე - მეწამულ (წითელ) ველზე გამოსახულია ვერცხლის (თეთრი) ფრთოსანი ცხენი. II ნაწილი - ლაჟვარდოვან ველზე გამოსახულია ოქროს ციხე-სიმაგრე ზემოდან ოქროს გვირგვინით.

III ნაწილი - ლაჟვარდოვან ველზე გამოსახულია ორი ოქროს მტევანი და ვაზის ორი ოქროს ფოთოლი.

გერბის ფარი გადაკვეთილია სამი, ვერცხლის, ტალღისებური შემცირებული სარტყელით.

გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი - სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხე-სიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია ჭიშკრით.

ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მეწამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩაწერილია გერბის დევიზი "თელავი.

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დანართიN2



თელავის დროშა

დროშის ველი გაყოფილია ჰორიზონტალურად ორ ნაწილად - მეწამულ (წითელ) და ლაჟვარდოვან (ლურჯ) ველებად.

დროშის ცენტრში გამოსახულია ვერცხლის ფრთოსანი ცხენი.

დროშის პროპორციაა 2:3.

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო